№2178 2013 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გამოუყოს 680 850 (ექვსას ოთხმოცი ათას რვაას ორმოცდაათი) ლარი, მათ შორის:

ა) 420 240 (ოთხას ოცი ათას ორას ორმოცი) ლარი - სპორტის ინდივიდუალურ ოლიმპიურ სახეობებში გამართულ (2013 წლის 1 ნოემბრის შემდეგ) სპორტულ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგების მიხედვით, საქართველოს ნაკრები გუნდების წევრთა, მწვრთნელთა და საექიმო პერსონალის წახალისების მიზნით (დანართი №1-ის თანახმად);

ბ) 141 610 (ას ორმოცდაერთი ათას ექვსას ათი) ლარი - სპორტის ინდივიდუალურ არაოლიმპიურ სახეობებში (2013 წლის 1 ნოემბრის

შემდეგ) სპორტულ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგების მიხედვით, საქართველოს ნაკრები გუნდების წევრთა, მწვრთნელთა და საექიმო პერსონალის წახალისების მიზნით (დანართი N2-ის თანახმად);

გ) 119 000 (ას ცხრამეტი ათასი) ლარი - სპორტის ცალკეულ სათამაშო (2013 წლის 1 ნოემბრის შემდეგ) სპორტულ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგების მიხედვით, საქართველოს ნაკრები გუნდების წევრთა, მწვრთნელთა, საექიმო და ადმინისტრაციული პერსონალის წახალისების მიზნით (დანართი N3-ის თანახმად).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გამოყოფილი თანხის ფარგლებში:

ა) სპორტის ინდივიდუალურ ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში გუნდურ და პირად-გუნდურ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგებისათვის და სპორტის ცალკეული სათამაშო სახეობებისათვის განსაზღვრული თანხები გადანაწილდეს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის შესაბამისი ეროვნული სპორტული ფედერაციების მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე;

ბ) სპორტის ინდივიდუალურ ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში, საექიმო პერსონალისათვის განსაზღვრული თანხები გადანაწილდეს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის ა(ა)იპ - საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის მიერ წარმოდგენილი წინადადების საფუძველზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**